www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სოფლის მეურნეობა

2017

IV კვარტალი

(წინასწარი შედეგები
მეცხოველეობის შესახებ)

19.02.2018

www.geostat.ge

19.02.2018

საქართველოს სოფლის მეურნეობა
2017 წლის IV კვარტალი
(წინასწარი მონაცემები მეცხოველეობის შესახებ)

წინასწარი მონაცემებით, 2017 წლის IV კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 900.4 ათასი სული შეადგინა და 2016 წლის IV კვარტალთან შედარებით 6.5 პროცენტით შემცირდა. აქედან ფურისა და ფურკამეჩის ჯამურმა სულადობამ 462.8 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 9.1 პროცენტით ნაკლებია.

ცხვრისა და თხის ჯამური სულადობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 3.2 პროცენტით გაიზარდა და 966.5 ათას სულს მიაღწია.

ღორის სულადობა 164.5 ათასი სული იყო, რაც 20.8 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

ფრინველის რაოდენობამ 8 046.4 ათასი ფრთა შეადგინა, რაც 2.3 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე, ფრინველის რაოდენობა 2014-2017 წლების IV კვარტალის ბოლოსათვის.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2014-2017 წლების IV კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ცხვრისა და თხის სულადობა 2014-2017 წლების IV კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ღორის სულადობა 2014-2017 წლების IV კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ფრინველის რაოდენობა 2014-2017 წლების IV კვარტალის ბოლოსათვის
(ათასი ფრთა)



* წინასწარი მონაცემები.

წინასწარი მონაცემებით, 2017 წლის IV კვარტალში რძის წარმოებამ 76.6 მლნ. ლიტრი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 6.8 პროცენტით ნაკლებია.

ხორცის წარმოებამ 19.3 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2016 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 6.3 პროცენტით ნაკლებია.

კვერცხის წარმოება 145.8 მილიონი ცალი იყო, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 6.8 პროცენტით მეტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია 2014-2017 წლების IV კვარტალში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა.

რძის წარმოება 2014-2017 წლების IV კვარტალში
(მლნ. ლიტრი)



* წინასწარი მონაცემები.

ხორცის წარმოება 2014-2017 წლების IV კვარტალში
(დაკლული წონა, ათასი ტონა)



* წინასწარი მონაცემები.

კვერცხის წარმოება 2014-2017 წლების IV კვარტალში
(მლნ. ცალი)



* წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის წარმოდგენილი 2016-2017 წლების მაჩვენებლები ქვეყანაში არსებული პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის ექსპორტ-იმპორტის, ასევე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ, კვარტალურ ჭრილში.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა 2016-2017 წლებში კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)

	2016				2017*			
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1 109.8	1 113.5	1 042.6	962.7	1 035.7	1 018.9	952.5	900.4
მათ შორის ფური და ფურკამეჩი	545.0	546.9	529.9	509.3	503.3	492.3	473.4	462.8
ღორი	172.1	176.2	196.5	136.2	160.8	194.6	233.8	164.5
ცხვარი და თხა	1 232.2	1 173.1	1 049.6	936.5	1 272.4	1 231.9	1 057.4	966.5
ფრინველი (ათასი ფრთა)	8 413.3	11 761.1	10 205.1	8 237.8	8 175.6	11 718.2	9 528.0	8 046.4

* წინასწარი მონაცემები.

ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის ექსპორტი 2016-2017 წლებში (ათასი სული)

	2016				2017*			
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	9.4	21.7	31.2	36.5	37.5	32.7	42.1	20.5
ღორი	-	-	-	-	-	-	-	-
ცხვარი და თხა	11.8	19.9	49.3	77.7	14.5	16.2	51.0	9.3
ფრინველი (ათასი ფრთა)	75.0	141.4	247.0	125.0	337.0	854.5	761.9	419.2

* წინასწარი მონაცემები.

ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის იმპორტი 2016-2017 წლებში (ათასი სული)

	2016				2017*			
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	0.1	1.2	1.0	1.3	0.9	1.6	1.3	1.3
ღორი	4.8	7.1	10.7	10.3	7.1	10.5	10.2	10.0
ცხვარი და თხა	7.2	0.0	-	0.0	-	6.4	0.8	11.6
ფრინველი (ათასი ფრთა)	532.9	345.7	375.6	257.7	502.6	446.5	480.0	346.6

* წინასწარი მონაცემები.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2016-2017 წლებში

	2016				2017*			
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
ხორცი (დაკლული წონა, ათასი ტონა)	14.1	16.7	14.6	20.6	13.7	14.4	12.0	19.3
რძე (მლნ. ლიტრი)	97.3	199.0	161.6	82.2	99.7	183.6	142.0	76.6
კვერცხი (მლნ. ცალი)	151.1	158.0	144.8	136.5	146.7	151.4	135.3	145.8

* წინასწარი მონაცემები.

2006-2015 წლების გამოკვლევების შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს წარმოადგენდა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. 2016 წლიდან გამოკვლევის შერჩევის ბაზა განახლდა და დაეფუძნა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას. შერჩევის ბაზის ცვლილების გამო, 2016 წლის მონაცემები შესადარი არ იყო წინა წლების მონაცემებთან. შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, საქსტატმა განახორციელა 2014 და 2015 წლების მონაცემების გადაანგარიშება. გადაანგარიშება განხორციელდა საქსტატის სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად.

2017 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2018 წლის 15 ივნისს.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

გამოყენებული პირობითი აღნიშვნები:

- მოვლენა არ არსებობს;

0.0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა.

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე
ტელ: (+995 32) 236 72 10 (500)
E-mail: vtsakadze@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge